პროგრამის სახელწოდება: თმის შეჭრის და ღებვის ხელოვნება

პროგრამის სახე: პროფესიული მომზადება

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: მესამე

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 13 კვირა

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 30 სთ

სულ საკონტაქტო საათების რაოდენობა: 330 სთ

მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში:

მინიმალური - 6 მაქსიმალური - 10

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საბაზო განათლება

პროგრამის მიზნები:

პროგრამის მიზანია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად მოამზადოს კონკრეტული ცოდნისა და პროფესიული უნარების მქონე კვალიფიციური კადრი. პროგრამის დასრულების შემდეგ პირს ექნება ისეთი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა/უნარები, როგორიცაა: სილამაზის მომსახურების ობიექტების ორგანიზება, თმის ტიპების და დაავადებები, თმის დაბანის და შეჭრის წესები და მეთოდები, ფერთა თეორია და პალიტრის წაკითხვა, შესაღებად საჭირო პროდუქციის შესწავლა, თმის შეჭრა/შეღებვა სხვადასხვა მეთოდებით, თმის სპა პროცედურების ჩატარება.

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეძლებს დასაქმდეს: სილამაზის ცენტრებსა და სალონებში, ასევე, ყველგან სადაც საჭიროა ამ ტიპის მომსახურება და/ან გახდეს თვითდასაქმებული.

სწავლის შედეგები:

1. სილამაზის მომსახურების ობიექტების ორგანიზება
2. თმის ტიპების და დაავადებების აღწერა
3. თმის შეჭრა
4. სხვადასხვა ფორმითა და სტილით ვარცხნილობების შესრულება
5. თმის ღებვა
6. თმის სპა პროცედურების ჩატარება

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამაზე სწავლა შეუძლია საბაზო საფეხურის მქონე პირს, ვისაც სურს სწრაფი დასაქმება/თვითდასაქმება. სწავლება თანხვედრაშია მუდმივად ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, რაც გულისხმობს კონკურენტუნარიანი და კვალიფიციური კადრის მომზადებას.
პროგრამის ხანგრძლივობაა 13 კვირა, 330 საათის მოცულობით, კვირეული საათობრივი დატვირთვა 20-25-30 სთ.
სწავლება განხორციელდება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მეთოდოლოგიით, მაღალკვალიფიციური თეორიული და პრაქტიკული გამოცდილების მქონე სპეციალისტების მიერ, შრომის უსაფრთხოებისა და სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაცვით.

სწავლება ჩატარდება კოლეჯის სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად აღჭურვილ სასწავლო აუდიტორიაში (A და C გარემო).
სწავლებისათვის გამოყენებული იქნება შემდეგი მეთოდები: ლექცია, დემონსტრირება, ინსტრუქტაჟი, პრაქტიკული მეცადინეობა. შეფასებისას გამოყენებული იქნება როგორც განმავითარებელი ასევე განმსაზღვრელი შეფასება, შეფასების მეთოდებით: წერილობითი გამოკითხვა (ტესტირება) და პრაქტიკული დავალება - დაკვირვებით.
პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს დანართით, რომელშიც ფიქსირდება პირის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული ცოდნა და უნარები.